დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ბათუმის მომავლის სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი
27-28 აპრილი, 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
18 მაისი, 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ბათუმის მომავლის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	445412107

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	•
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	•
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	•
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N38
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის ქ. N49
საფოსტო ინდექსი	111
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.momavali2012.ge.
დაწესებულების ელ-ფოსტა	Momavali12@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ცირა ქასრაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	593303970
ელ-ფოსტა	Momavali12@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 20 თებერვლის MES 4 23 0000198853 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ბათუმის მომავლის სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27-28 აპრილი 2023 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	ირმა ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მატერიალური რესურსი, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები			
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:			
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს			
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	სკოლის იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 30 ნოემბერს და ვადა იწურება 2028 წლის 30 ნოემბერს. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, სკოლა ვერ დააკმაყოფილებს განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ), განსაზღვრულ პირობას, რაც გულისხმობს დაწესებულების საქმიანობის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაიწყო ხელშეკრულების ვადის გაგრძელების პროცედურები.
	2.6.ა	სკოლამ უზრუნველყოს კვამლის დეტექტორების დამონტაჟება.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს ბათუმის მომავლის სკოლა განვითარებაზეა ორიენტირებული. მისი სლოგანია -,,ერთად-მომავლის სადარაჯოზე"!, რაც გამოიხატება დირექციის, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ერთობლივ მუშაობაში. სკოლაში შექმნილია მშობელთა სათათბირო, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეთა ინტერესებს და მათ სკოლის მართვაში ჩართულობას ემსახურება თვითმმართველობაც მისი წევრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ; დირექციას წარუდგენენ წინადადებებს სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით, ეხმარებიან სკოლას თითოეული ბავშვის უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში, პიროვნების თავისუფალ განვითარებასა და თვითგამორკვევაში. მათი ინიციატივებით იქმნება სასკოლო კლუბები, ტარდება ღონისძიებები.

დაწესებულების მისია	აღზარდოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე თავისუფალი პიროვნება, რომელსაც განვითარებული ექნება გონებრივი უნარ-ჩვევები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჩამოყალიბებული ექნება დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, საკუთარი მოვალეობები და პასუხისმგებლობა ოჯახის, სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**არ გაცემულა**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ბათუმის მომავლის სკოლის მიერ წამოდგენილი 2022-2023 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომის მიერ (ოქმი №2, 06.09.2022) და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის ბრძანებით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და სასწავლო პროცესის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, 2021-2022 ს/წლის დასრულების შემდგომ მომზადდა წლიური ანგარიში, ამ ანგარიშზე დაყრდნობით შემუშავდა ახალი ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა სკოლის მისია, დაზუსტდა სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი დატვირთვა, განისაზღვრა დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება და სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების მიმართულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან გამომდინარე, შპს ბათუმის მომავლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც ეყრდნობა სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია: მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, სწავლის სტრატეგიების დაუფლება (სწავლის სწავლა, მოსწავლის მიერ სწავლის ინდივიდუალური მიზნების დასახვა, მიზნის მიღწევის სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლეთა მიერ გაკეთებული რეფლექსიები, რაც ხელს შეუწყობს სწავლის საუკეთესო გზებისა და ხერხების აღმოჩენასა და დახვეწას, ფიქრსა და სიძნელეების დაძლევას და ასევე სამივე სახის ცოდნის გააქტიურებას (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). გეგმის და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის თანახმად, სკოლაში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. სკოლის სასწავლო კვირა ხუთდღიანია, თუმცა განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში, ექვსდღიანი სწავლების შემთხვევებიც. მაგ: თუ: სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას ან გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები. 2022-2023 ს/წლის აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, სკოლამ 18 აპრილი გამოაცხადა დასვენების დღედ, ხოლო 22 აპრილი (შაბათი) სასწავლო დღედ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილია ასევე, რომ სწავლება შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში წარიმართოს მეორე ცვლაშიც, რის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებით (შესაბამისად სკოლას შედგენილია აქვს მეორე ცვლაში სწავლების გრაფიკიც). ამ ეტაპზე სკოლა მხოლოდ ერთ ცვლაში მუშაობს. • III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. • I კლასში 35 წუთით. • II კლასში – 40 წუთით. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით სკოლას დადგენილი აქვს, რომ შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლა ხანმოკლე ვადით შეცვლის (გაზრდის ან შეამცირებს არანაკლებ 30 წუთამდე) გაკვეთილების ხანგრძლივობას. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა 5 წუთია, ხოლო ერთი დიდი შესვენება, მესამე გაკვეთილის შემდეგ 15 წუთიანია. სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კომპონენტებს და შედგება შემდეგი ნაწილებისგან: • **სკოლის მისია;** სკოლის მისია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. • **სასკოლო საათობრივი ბადე;** საათობრივი ბადე, მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას, თუმცა დამატებული აქვს დამატებითი საათები პირველ უცხოურ ენას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• **გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;** სკოლას არჩეული აქვს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი ლიტერატურა საგნების მიხედვით. • **საგანმანათლებლო რესურსი;** რესურსის ტიპებია: ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; ✓ დამხმარე მხატვრული, შემეცნებითი ლიტერატურა; ✓ საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი; ✓ ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები, პროექტორი და ეკრანი; ✓ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ✓ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით; ✓ სპორტული მცირე დარბაზი, აღჭურვილი შესაბამისი სპორტული ინვენტარით; ✓ ღია სპორტული მოედანი; ✓ ბიბლიოთეკა სკოლას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო რესურსის სარგებლობის წესები. • **არჩევითი საგნები** ბათუმის მომავლის სკოლაში ისწავლება შემდეგი არჩევითი საგნები: ✓ მსოფლიო კულტურა - X კლასი (ორივე სემესტრში) ✓ გეოგრაფიული კვლევა - XI კლასი (ორივე სემესტრში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ სახელმწიფო და სამართალი - XII კლასი (პირველი სემესტრი) • **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები** განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა; • **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;** სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს .უცხოური ენის წრეს - საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის. • **ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;** ბათუმის მომავლის სკოლა, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით, მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ წრეებს და კლუბებს: ✓ მენტალური მათემატიკის წრე (საბაზო და საშუალო საფეხური) ✓ სამოქალაქო განათლების კლუბი (საქპატენტის კლუბი) ✓ ჭადრაკის წრე (დაწყებითი საფეხური) ✓ ხალხური ცეკვის წრე (დაწყებითი/საბაზო საფეხური) ✓ ეკო-კლუბი-(საქპატენტის კლუბი) წრმოდგენილია ასევე ყველა კლუბის და წრის პროგრამები, სადაც გაწერილია სწავლების მიზნები, ამოცანები, ის ცოდნა და უნარები, რომელიც ყველა დონისთვისაა გათვალისწინებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• **ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.** სასკოლო-სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. • **დისტანციური სწავლება** წარმოდგენილია ასევე მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობა დისტანციური სწავლებისას კლასებისა და საგნების მიხედვით, რაც სრულად შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. • **კათედრები** სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნის / საგნობრივი ჯგუფის კათედრა: • მათემატიკის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; • ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების; • დაწყებითი კლასების კათედრა; • უცხოური ენების კათედრა; • სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა; საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრის თავმჯდომარის არჩევა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში როტაციის წესით კათედრების სხდომაზე. დოკუმენტში გაწერილია კათედრის ფუნქციები, კათედრების მოწყობის წესები, თავმჯდომარის ფუნქციები. • **დამრიგებლის (კურატორის) პროგრამა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაწერილია დამრიგებლის უფლება-მოვალეობები, დამრიგებლის სამუშაო გეგმა და ჩასატარებელი ღონისძიებების განრიგი. **ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023; • პედაგოგიური საბჭოს ოქმი; • 2021-2022 სასწავლო წლის დირექტორის მოადგილის ანგარიში.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სამივე საფეხურზე, შესაბამისად წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპები. დოკუმენტის თანახმად საერთო სამივე საფეხურისთვის არის ის, რომ სკოლისთვის თითოეული მოსწავლე არის უნიკალური, როგორც უნარებითა და შესაძლებლობებით, ასევე, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით. შესაბამისად, სკოლის ამოცანაა, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს მოსწავლეზე. პედაგოგთა პორტფოლიოების გაცნობის შედეგებით და მათთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროცესში უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთულ გაკვეთილებს, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. აღსანიშნავია მრავალფეროვანი პროექტები, რომლებსაც თითქმნის ყველა საგნის მასწავლებელი აქტიურად ახორციელებს სამივე საფეხურისთვის. მაგ: **ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა** • **საქპატენტი EUGPP** საგანთან კავშირი - ქართული ენა და ლიტერატურა კლასი XI. • **„მკითხველის სკამი“** ქართული ენა და ლიტერატურა. • **ლიტერატურული მარათონი** კლასი V-XII. • **ბათუმის ახალგაზრდა ელჩი** სამოქალაქო განათლება კლასი: VII,VIII,IX. • **საინფორმაციო შემეცნებითი გასვლითი პროექტები:** ✓ შეხვედრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში; ✓ შეხვედრა მერთან; ✓ შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტთან - ნატოსა და ევროკავშირის შესახებ- ✓ შეხვედრა საქართველოს ელჩთან თურქეთში; • ინტეგრირებული პროექტი- „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და ისტ-ის კათედრა: ✓ კრეატიული დღიური. ✓ მეწარმეობის გაკვეთილები. ✓ „ჩემი საყვარელი მაისური „ ✓ „დარგე საყვარელი მცენარე „ ✓ ესსე --შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა (ინტეგრირებული ეკოკლუბი და ინგლისური ენა) პროექტები და პრეზენტაციები განხორციელდა ეკოკლუბის ფარგლებშიც: მწვანე სივრცე / green space, საბაზო - საშუალო საფეხურზე: ✓ პრეზენტაცია - შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა ✓ „მოწვეული სტუმარი“-. თემა : შავი ზღვა ✓ პრეზენტაცია - ჰაერი და ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემები ✓ ვიდეორგოლი--არა პიროტექნიკას! ✓ პრეზენტაცია -- ტყის მდგრადი მართვა ✓ პრეზენტაცია--პლასტმასი, თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა ✓ აქტივობა-- დარგე და მოუარე მცენარეს ✓ CENN და მერიის პროექტი - SDGs -ის განხილვა . პროდუქტი: პრეზენტაცია კათედრაზე განხორციელდა ასევე კომპლექსური პროექტები: ✓ თემა : “მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა .” პროდუქტი: ცხრილი კლასი :VIII ✓ თემა : „ ფოტოსინთეზი და სუნთქვა მცენარეებში“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კლასი: VII პროდუქტი : პოსტერი ✓ თემა : „ პირველადი დახმარება სისხლდენის დროს „ კლასი : VII პროდუქტი : იმიტაცია ✓ თემა : „ ტანადობის დარღვევა „ კლასი : VIII პროდუქტი : პოსტერი, ნახატი ✓ თემა : „ სასქესო ჰორმონები, უშვილობა და ნაადრევი ქორწინება „ კლასი : IX პროდუქტი : პრეზენტაცია , პოსტერი, ნახატი ✓ თემა : „პლაზმური მემბრანა „ კლასი : X პროდუქტი : ცხრილი და ცდის დამადასტურებელი ფოტოები **დაწყებითი განათლების კათედრა:** ✓ „წიგნი თავისუფლებაა, კითხვა კი ბედნიერება“ (ლიტერატურული მარათონი II,III,IV კლასებში) ✓ „დედაენა, ჩვენი ცოდნის ლამპარი, აი ია - ჯადოსნური ზღაპარი“ **უცხოური ენის კათედრა** ✓ ინტეგრირება სამოქალაქო განათლებასთან NATO -ს დაარსების დღესთან დაკავშირებით ბათუმის მომავლის სკოლამ ორგანიზება გაუწია პროექტს „NATO -საქართველოს მომავალია“. კლასი: საშუალო /საბაზო ✓ თემა: Stop bullying

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროდუქტი: ნახატი,სურათები ,პრეზენტაცია - კლასი : VIII ✓ თემა: „school time’ პროდუქტი: ინტერვიუ, მინი პოსტერები ჟურნალის სახით, როლური თამაშები. **სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა** ✓ ჯანსაღი ხედვა საგანი :სპორტი კლასი:V-X ✓ ,,გაზაფხულის ფერები’’ საგანი:ხელოვნება კლასი:III-IX სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებია გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსების შერჩევის დროსაც და სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსით, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებით (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა). რესურსი შერჩეულია სხვადასხვა კლასის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლებსაც აქტიურად იყენებს მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად. ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობაც, რომელშიც გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. შემუშავებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლის თანახმად თვითმმართველობა წარმოადგენს სკოლის მართვის სტრუქტურულ დანაყოფს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მონაწილეობას, როგორც თავისი კლასის, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მართვაში. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა თანაბარი წრმომადგენლობის პრინციპების დაცვით. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სკოლის ცხოვრებაში. მისი წევრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ; დირექციას წარუდგენენ წინადადებებს სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით, ეხმარებიან სკოლას თითოეული ბავშვის უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში, პიროვნების თავისუფალ განვითარებასა და თვითგამორკვევაში. მათი ინიციატივებით იქმნება სასკოლო კლუბები, ტარდება ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023; • მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები; • მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; • მასწავლებელთა პორტფოლიოები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელიც სრულად მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭების მექანიზმებს სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროების დასადგენად. შემუშავებულია ინკლუზიური განათლების დებულება, რომლის თანახმად სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ყველა ბავშვი სავალდებულო განათლებით და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში სრულყოფილად არის გაწერილი სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის წესი და ვადები, ინფორმაცია ისგ ჯგუფის შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების ეტაპები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი და შინ სწავლების ძირითად ასპექტები. წარმოდგენილი მექანიზმები და სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასევე სკოლაში დამკვიდრებული მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას. სკოლას ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • დირექტორის და მოადგილეების ანგარიში 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მუშაობის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის საზოგადოებასთან ინტერვიუირების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. განსაზღვრულია: მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები, აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების კომპონენტები, შემაჯამებელ დავალებასთან დაკავშირებული საკითხები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი (საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი, საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი, საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი), გამოცდის ტიპები და სხვა. 2022-2023 ს/წლისთვის სკოლაში წლიური გამოცდები დაგეგმილი არ არის. შპს ბათუმის მომავლის სკოლაში, სემესტრის განმალობაში მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით ნებისმიერ კომპონენტში. სკოლამ აირჩია ესგ - დან გამომდინარე შეფასების I ვარიანტი, რაც გულისხმობს შეფსებას: ა) მიმდინარე საკლასო დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), ბ) მიმდინარე საშინაო დავალებაში (VII-XII კლასები), გ) შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). სკოლაში შემუშავებულია შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით. შემუშავებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე განმავითარებელი შეფასების ფორმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს დააკვირდეს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა. სასკოლო სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის და VI-XII კლასების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრების განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობასა და ფორმებს. შემუშავებულია ასევე გაცდენილი დავალების აღდგენის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი EDUPAGE, რომლის გამოყენებითაც მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს და უგზავნიან მშობლებს და მოსწავლეებს გასაცნობად. სემესტრის ბოლოს განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად ყველა მოსწავლეს ეძლევა განმავითარებელი შეფასებაც. ექსპერტთა მიერ შემოწმდა რიგი შემაჯამებელი დავალებებისა და დადგინდა, რომ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში უმეტესად გამოყენებულია კომპლექსური დავალებები. მაგ: ესე. პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაო, სასწავლო ექსკურსიის ანგარიში და სხვ.). შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები. მოსწავლეებთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ მათ წინასწარ იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება მათი სასწავლო აქტივობა. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ასევე მოსწავლეთა სოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტაქსონომიით შეფასების ნიმუშები, კომპლექსური დავალებები, მათი ანალიზი და ანგარიშები, რომლებიც თითქმის ყველა საგანში არის ჩატარებული. რაც შეეხება შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, სკოლას მიეცა რჩევა - <u>შემაჯამებელი დავალებების ანალიზის პროცესში დასახონ კონკრეტულ მოსწავლეზე ორიენტირებული ნაბიჯები და განსაზღვრონ კონკრეტული დავალებები, რაც დაეხმარებათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში.</u> სკოლაში შემუშავებულია ასევე მოსწავლეთა წახალისების ფორმებიც, რაც გულისხმობს შემდეგს: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე VI-IX კლასებში, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, წახალისების ფორმად გადაეცემათ დიპლომები. აკადემიური მიღწევის აღიარებისათვის სკოლაში დამკვიდრებულია I, II, III ხარისხის დიპლომები. XI –XII კლასის მოსწავლეები, რომელთა საშუალო საფეხურის ქულაა -10, დამრგვალების გარეშე, ასევე დიაგნოსტიკურ წერებში აქვთ შეფასება სრული 10 დამრგვალების გარეშე, სკოლის მიერ წახალისდება მთელი წლის დაფინანსებით. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაგეგმილია შემდგომი ტრენინგები მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შემდგომ დახვეწასაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა; • მოსწავლეთა შეფასების სისტემა; • შემაჯამებელი-კომპლექსური დავალებები; • სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი განსაზღვრულია შინაგანაწესით, ხელშეკრულებით და სადამრიგებლო პროგრამით. მშობლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ ისინი კლასის დამრიგებლებისგან, ინდივიდუალურად, ელექტრონულ ფორმატში და/ან ტელეფონით, მუდმივად იღებენ ინფორმაციას მათი შვილების გაცდენა/დაგვიანების, აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური გადაცდომების შესახებ. მათთვის ინფორმირების მნიშვნელოვანი წყაროა ელექტრონული ჟურნალიც. მშობლის ინფორმირების წესი გაწერილია დამრიგებლის (კურატორის) პროგრამაშიც, რაც გულისხმობს, შემდეგს - დამრიგებელი რეგულარულად, ყოველი თვის პირველ შაბათს, გარდა ყოველდღიური ინფორმაციისა, ატარებს მშობელთა კრებას, აწვდის მშობელს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის აკადემიური მიღწევა სემესტრის დაწყებიდან 1 თვის შემდეგ და სემესტრის დამთავრებამდე 1 თვით ადრე 5-ზე დაბალია, კურატორი (დამრიგებელი) ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის კორექციის ჯგუფში ჩართვასთან დაკავშირებით, რათა მოსწავლემ შეძლოს უკეთესი შედეგების მიღწევა. დოკუმენტით მკაცრადაა განსაზღვრული, რომ დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნილია და ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანო მშობელთა სათათბირო, რომლის უფლება მოვალეობები განსაზღვრულია შინაგანაწესით. სათათბიროს წევრებთან გასაუბრების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი აქტიურად არიან ჩართული სკოლის ცხოვრებაში. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული ისეთი საკითხებიც, როგორიცაა: • სკოლისა და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთვალდებულებები; • მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი; • მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია მათ შორის, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი; • მშობელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები; • მშობელთა კრებების წარმართვის ფორმები და ჩატარების პერიოდი; • გათვალისწინებულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები. შესწავლილი დოკუმენტების და მშობლებთან გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ მშობელთა ჩართულობით განხორციელდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიც არის: ძალადობა და მისი გავლენები ბავშვის ფსიქოლოგიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მშობლის როლი მოსწავლის განათლებაში და აღზრდაში და ა.შ. სკოლის ვებგვერდი და სოციალურ ქსელებში არსებული ჯგუფები, ხელს უწყობს მშობელთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას სკოლაში განხორციელებული კლასგარეშე აქტივობების, დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ღონისძიებების შესახებ. სკოლას აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი; • დამრიგებლის (კურატორის) პროგრამა; • კოლეგიალური ორგანოს - მშობელთა სათათბიროს დებულება; • სკოლის შინაგანაწესი; • მშობლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი (დირექტორის ბრძანება 01-03/41, შპს ბათუმის მომავლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვის, გაუმჯობესების მექანიზმების და კითხვარების დამტკიცების შესახებ), რომელიც შეესაბამება დემინგის ციკლს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლაში ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, როგორიც არის: სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი, ესგ-ში შესული ცვლილებების გათვალისწინება სასკოლო-სასწავლო გეგმაში, სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, გამოკითხვის შემდგომი ანალიზი, გაკვეთილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასება - ანალიზი, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია მონიტორინგის და გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც სკოლა აწარმოებს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვას, სკოლის საჭიროებების დასადგენად. ეს კითხვარებია: მოსწავლის მიერ მასწავლებლის და სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი; მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი; ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი; ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი; მოსწავლეების შეფასების კითხვარი; კითხვარი: მასწავლებელი მოსწავლის თვალით; კითხვარი მშობლებისთვის; სკოლიდან წამსვლელთა მოსაზრება სკოლის განვითარებისათვის; კითხვარი მასწავლებლებისთვის. სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომელიც ორგანიზებას უწევს გაკვეთილებზე დასწრებას, კათედრებზე მუშაობას, ურთიერთშეფასებას, ურთიერთდახმარებას, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. სკოლამ წარმოადგინა ჩატარებული მონიტორინგის ანალიზის ანგარიში. ანგარიში მოიცავს მონაცემებს, რომელიც 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემეტრში, ნოემბერში განხორციელებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვისა და გაკვეთილებზე დასწრების შედეგებს დაეყრდნო. ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი სასკოლო სასწავლო პროცესის ყველა ასპექტი: მოსწავლეთა რაოდენობა, მასწავლებელთა სამუშაო გეგმები, კლუბების მუშაობა, მოსწავლეთა გაცდენები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, დიაგნოსტიკური წერის შედეგები, დაგეგმილი და ჩატარებული ღონისძიებები და სხვა. როგორც სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, გამოკითხვის შედეგად მიღებული კვლევის შედეგები გაზიარებულ იქნა პედსაბჭოზე, მშობელთა კრებებზე, თუმცა არ არის გამოქვეყნებული სკოლის ვებგვერდზე, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა - ანგარიშები გამოაქვეყნოს ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის სრულ ინფორმირებას. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რასაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სპეციალისტი. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე საგნის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, მატრიცები, მოსწავლეთა სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუშები და სკოლას მიეცა რჩევა - დაესწრონ ესგ-ს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ვებინარებს და სამუშაო შეხვედრებს, ასევე გაეცნონ ვებინარების ჩანაწერებს, რაც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს სიახლეების დანერგვაში. **დასკვნის სახით - სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმები მიმართულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მოსწავლის მიერ მასწავლებლის და სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი; • მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; • მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; • ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი; • ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი; • ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი; • მოსწავლეების შეფასების კითხვარი; • კითხვარი: მასწავლებელი მოსწავლის თვალით; • კითხვარი მშობლებისთვის; • სკოლიდან წამსვლელთა მოსაზრება სკოლის განვითარებისათვის; • კითხვარი მასწავლებლებისთვის. • 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში; • 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარესთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	1.4. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის პროცესში დასახონ კონკრეტულ მოსწავლეზე ორიენტირებული ნაბიჯები და განსაზღვრონ კონკრეტული დავალებები, რაც დაეხმარებათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში. 1.6. ანგარიშები გამოაქვეყნოს ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის სრულ ინფორმირებას. 1.6. დაესწრონ ესგ-ს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ვებინარებს და სამუშაო შეხვედრებს, ასევე გაეცნონ ვებინარების ჩანაწერებს, რაც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს სიახლეების დანერგვაში.
ხარვეზები:	არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 976.4 კვ. მ.	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: 976.4 კვ.მ.	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საჯარო რეესტრის ამონაწერის და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს ბათუმის მომავლის სკოლის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი. ჰაიდარ აბაშიძის 49. სკოლა განთავსებულია 610.00 კვ. მ. მიწის ფართზე არსებულ შენობა - ნაგებობაში ფართით 976.4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კვ.მ. (მათ შორის პირველი სართული 321. 4 კვ.მ. მეორე სართული - 321.7 კვ.მ. მესამე სართული - 333.3. კვ.მ.). იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 30 ნოემბერს და ვადა იწურება 2028 წლის 30 ნოემბერს. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, სკოლა ვერ დააკმაყოფილებს განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ), განსაზღვრულ პირობას, რაც გულისხმობს დაწესებულების საქმიანობის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაიწყო ხელშეკრულების ვადის გაგრძელების პროცედურები.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის N49
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 05.27.14.082.
კვ.მ.	976.4 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • იჯარის ხელშეკრულება; • შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი.
შეფასება	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ვიზუალური დათვალიერების და შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგებზე დაყრდნობით დგინდება, რომ 22 საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სათანადო ინვენტარით, კერძოდ: 296 ინდივიდუალური მერხი და სკამი, 22 სასკოლო დაფა, 12 ინტერნეტით უზრუნველყოფილი მონიტორი, 3 პროექტორი, 2 პროცესორი, 19 ლეპტოპი, 3 ქსეროქსი/პრინტერი, 15 მაგიდა ლაბორატორიისთვის, თვალსაჩინობები და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებები. სკოლას აქვს სამასაწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, სამდივნო, სამედიცინო კაბინეტი. წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის საჭიროებებს. საერთო ჯამში სკოლის მფლობელობაშია 329 მერხი და 300 სასკოლო სკამი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კლასების ინვენტარიზაციის ცხრილი; • მატერიალური რესურსის ერთიანი ჩამონათვალის ცხრილი; • სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოყოფილია სივრცე სპორტული აქტივობებისთვის, არის ხელოვნურსაფარიანი სპორტული პატარა მოედანი კალათბურთის ფარებით და ფრენბურთის ბადით, გასახდელებით გოგონებისა და ვაჟებისთვის. სკოლას აქვს ასევე ღია სივრცე სპორტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქტივობებისთვის. ვიზუალური დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით დასტურდება სხადასხვა სპორტული ინვენტარის ფლობა: ჭადრაკის 21 დაფა, მაგნიტური დაფა, ბანდბინტონის ჩოგნები (12) მაგიდის ჩოგბურთი და სხვა. სპორტული დარბაზი და შესაბამისი ინვენტარი, სპორტული მოედანი და გარე სივრცე სპორტული თამაშობებისთვის უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებული ლაბორატორიის სივრცე, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის, სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმითა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული კომპეტენციების სათანადო დონის მიღწევას. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ონკანი, გამწოვი და აღჭურვილია შესაბამისი ლაბორატორიული ინვენტარით, რომელიც განთავსებულია კარადებში. ლაბორატორიაში განთავსებულია 15 მაგიდა, შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. კაბინეტში დამონტაჟებულია ინტერნეტით უზრუნველყოფილი მონიტორი, ასევე არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი და მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები. სკოლამ წარმოადგინა რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია; • სხვადასხვა წელს შეძენილი რეაქტივების დოკუმენტაცია; • სასაქონლო ზედნადებები; • მიღება-ჩაბარების აქტები; • შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლაში შექმნილია აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახი ნათელია და აქვს დიდი ფანჯრები. სკოლას აქვს ელექტროენერგიის (მიმწოდებელი: ენერგო- პრო ჯორჯია) და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა (მიმწოდებელი: შპს ბათუმის წყალი). სკოლის შენობაში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა (მიმწოდებელი: შპს სოკარ ჯორჯია გაზი), სველ წერტილებში (4 გოგონებისა და 4 ბიჭებისათვის, 1 მასწავლებლებისთვის, 1 სამედიცინო კაბინეტში) დაცულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები. სკოლის პირველ სართულზე სველი წერტილი ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომუნალური გადახდების ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა პირველ სართულზეა განთავსებული. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სამუშაო განრიგი, ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკას აქვს ანბანური და ელექტრონული კატალოგი. საინვენტარო წიგნის მიხედვით ბიბლიოთეკაში განთვსებულია 1288 წიგნადი ერთეული, მათ შორის მხატვრული (762) და მეთოდური ლიტერატურა (526), პერიოდიკა, ასევე ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და 1 პრინტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ახალ განათლებასთან“. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ბიბლიოთეკა აღჭურვილია სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სასწავლო რესურსით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; • წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები; • საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი; • სასაქონლო ზედნადებები; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ამ ეტაპამდე სკოლას არ ჰყოლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზაობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სასწავლო გარემო შექმნას მისთვის. სკოლას აქვს კიბეებზე დამაგრებული მოძრავი პანდუსები, პირველ სართულზე დამონტაჟებულია ადაპტირებული სანიტარული კვანძი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სრულად უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას. სკოლის მფლობელობაშია: ინტერნეტში ჩართული 3 კომპიუტერი, 19 ლეპტოპი, 3 პრინტერი, 3 პროექტორი, 12 ტელევიზორი/მონიტორი. სკოლის ვებგვერდი http://momavali2012.ge/. ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: ინფორმაცია სკოლის შესახებ, სტრუქტურა, წესდება, სკოლის მისია, შინაგანაწესი, ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ბიბლიოთეკის ელეტრონული ვერსია, მშობელთა სათათბირო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თვითმმართველობა, კათედრები, დამრიგებლები. სკოლას აქვს ასევე ელექტრონული ჟურნალი https://momavali.edupage.org/, ფოტო და ვიდეო გალერეა. ვებგვერდზე განთავსებულია ასევე სიახლები სკოლის შესახებ. სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართია: momavali12@gmail.com. საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ასევე სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/schoolofthefuturebtm/. **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას - სკოლა სრულფასოვნად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი http://momavali2012.ge/.; • ელექტრონული ფოსტა momavali12@gmail.com; • https://www.facebook.com/schoolofthefuturebtm/; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. სკოლის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში დამონტაჟებულია 8 დამუხტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ცეცხლმაქრი. შპს ბათუმის მომავლის სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/30, 04.09.2022 დამტკიცებულია სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შესათანხმებლად გადაგზავნილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, თუმცა ვიზიტის პერიოდში პასუხი სკოლას მიღებული არ ჰქონდა. სკოლაში შექმნილია დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო შტაბი, რომელიც მიზნად ისახავს საგანგებო სიტუაციებში დროული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფას. შემუშავებულია ასევე სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია და 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა. სკოლის შესასვლელში და ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). შენობა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით აღჭურვილია შესაბამისი საშუალებებით: სახანძრო სამაუწყებლო სირენა, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები, ავარიული განათება, სახანძრო პანელი, თუმცა <u>სკოლაში არ არის დამონტაჟებული კვამლის დეტექტორები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგანგებო მართვის გეგმა; • დირექტორის ბრძანება „საგანგებო შტაბის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე სათანადო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „შპს ბათუმის მომავლის სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით. კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ინვენტარით. სამედიცინო ტახტი, შირმა, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სამედიცინო კაბინეტს ემსახურება სკოლის ექიმი და ექთანი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით. ექიმი ინსტრუქციის შესაბამისად საქმიანობს, უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე არსებული სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებს და ფუნქციებს. ხელმძღვანელობს სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას. აკონტროლებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ყოველდღიურად ატარებს რეიდებს კლასების, დერეფნების, ბუფეტის, ტუალეტის სისუფთავის შემოწმების მიზნით და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის დირექტორს. თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისთვის. სხვა მოვალეობებთან ერთად იგი ატარებს პირადი ჰიგიენისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს. ექიმი აწარმოებს სკოლაში გაცემული სამედიცინო მომსახურების და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალებს. სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებულია სამედიცინო საქმიანობის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბათუმის მომავლის სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი; • ექიმის პირადი საქმე; • ექთნის პირადი საქმე; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი შპს ბათუმის მომავლის სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც დამტკიცებულია შპს ბათუმის მომავლის სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/28 04.09.2022 და გადაეგზავნა ბათუმის რესურსცენტრს შუამდგომლობისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები და ასევე 2 უსაფრთხოების ოფიცერი, 6 უსაფრთხოების ოფიცრის დამხმარე კოორდინატორი და 1 ღამის დარაჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბათუმის მომავლის სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება ვიდეოკამერებით. გარე პერიმეტრი კონტროლდება 4 კამერით, ხოლო შენობის შიდა ნაწილი 13 ვიდეოკამერით. კამერების მონიტორი განთავსებულია პირველ სართულზე, რომლის კონტროლიც ევალება უსაფრთხოების ოფიცერს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ბათუმის მომავლის სკოლას შემუშავებული აქვს გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის სახით. წესდებით განისაზღვრება სკოლის საზოგადოების ძირითადი მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, დაწესებულების სტრუქტურა და მართვა, დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები, სკოლის ვალდებულებები, საფინანსო ეკონომიური საქმიანობა და ა.შ. შინაგანაწესი შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01-03/20 ბრძანებით. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა, სასწავლო-სააღმზრდელო საკითხები, სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება, თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაო, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, თანამშრომელთა ვალდებულებები, შრომითი ხელშეკრულებების შეჩერება და შეწყვეტა, წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელები, სკოლის თვითშეფასება და ატესტაცია და სხვა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები. შინაგანაწესის მე-14 მუხლში გაწერილია წახალისების სახეები; ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ)ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა: სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფუნქციებს. სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია: მშობლებთან ურთიერთობის დებულება-უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა, ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი/მექანიზმები, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმები, დამრიგებლის მუშაობის დებულება; პედაგოგიური საბჭოს დებულება, პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, მატერიალური რესურსების განკარგვის წესი და სხვა. სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე: ბიბლიოთეკის დებულება, საქმისწარმოების წესი, პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრების დებულება, თვითმმართველობის დებულება და სხვა. **გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბათუმის მომავლის სკოლის დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01-03/20 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი; • შპს ბათუმის მომავლის სკოლის წესდება;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. წარმოდგენილ გეგმებში გამოიკვეთა რიგი ტექნიკური შეცდომებისა, თუმცა ადგილზე ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022-2029 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები, რომლებშიც ტექნიკური შეცდომები გამოსწორებული იყო. ბათუმის მომავლის სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისიას, ხედვას, სტრატეგიულ მიმართულებებს, პრიორიტეტებს, დროში გაწერილ განსახორციელებელ ღონისძიებებს/გეგმას. შპს „ბათუმის მომავლის სკოლის“ სამომავლო, გრძელვადიანი, სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა შემუშავდა SWOT-ანალიზის შედეგების გათვალისწინებით. კონკრეტული ღონისძიებების გატარების საჭიროება გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად გამოიკვეთა სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებები: 1.ძლიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა; 2. ზოგადი განათლების სფეროს განვითარება; 3. სკოლის ბრენდის გაძლიერება; 4. ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა; 5. კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის მოზიდვა, შენარჩუნება, პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; 6. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა; 7. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	8. სკოლის კულტურის გაუმჯობესება; დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა; 9. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარეობს, უფრო დეტალურად აღწერს შესასრულებელ სამუშაოს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების (მათ შორის არის სკოლის საკუთარი ფართის შეძენა და ახალი შენობის აშენება) ეფექტურად გამოყენება/გაუმჯობესებას და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ორივე დოკუმენტთან მიმართებით სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა - <u>შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და სამოქმედო გეგმების ფორმა, რომელიც უნდა მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნება შესაბამის ამოცანებად, სამოქმედო გეგმაში გაიწეროს ასევე შესასრულებელი აქტივობები და შესრულების ინდიკატორები.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2029 სასწავლო წლების სკოლის განვითარების გრძელვადიანი გეგმა; • SWOT ანალიზი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დირექტორის ბრძანებით (N01-03/21 28.09.2022) დამტკიცებული შპს ბათუმის მომავლის სკოლის საქმეთა ნომენკლატურა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოების წესის თანახმად იწარმოება შემდეგი ჟურნალები: ადმინისტრაციული სახის ბრძანებების სარეგისტრაციო წიგნი, პირადი შემადგენლობის ბრძანების სარეგისტრაციო წიგნი, ძირითადი საქმიანობის შესახებ ბრძანების სარეგისტრაციო წიგნი, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანების სარეგისტრაციო წიგნი, შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი, გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი. ყველა ჟურნალი დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბათუმის მომავლის სკოლის საქმისწარმოების წესი; • ადმინისტრაციული სახის ბრძანებების სარეგისტრაციო წიგნი; • პირადი შემადგენლობის ბრძანების სარეგისტრაციო წიგნი; • ძირითადი საქმიანობის შესახებ ბრძანების სარეგისტრაციო წიგნი; • მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანების სარეგისტრაციო წიგნი; • შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; • გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; • პირადი შემადგენლობის ბრძანების სარეგისტრაციო წიგნი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	2.8. ორივე დოკუმენტთან მიმართებით სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევები - შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და სამოქმედო გეგმების ფორმა, რომელიც უნდა მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნება შესაბამის ამოცანებად, სამოქმედო გეგმაში გაიწეროს ასევე შესასრულებელი აქტივობები და შესრულების ინდიკატორები.
ხარვეზები:	არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას ჰყავს: დამფუძნებელი - დირექტორი, სასწავლო მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი/ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, ექიმი, ექთანი, იურისტი, ფსიქოლოგი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი, დამლაგებელი - 3, შრომის უსაფრთხოების ოფიცერი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯერის დამხმარე კოორდინატორი - 6. მართვის საინფორმაციო სისტემის თანახმად, სკოლაში დასაქმებულია 37 მასწავლებელი, მათგან 25 მასწავლებელს უფროსის სტატუსი აქვს, 8 მასწავლებელს - მოწვეულის სტატუსი, ხოლო 4 მასწავლებელი არის შემცვლელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • Eschool-ის ბაზა; • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე; • საშტატო განრიგი;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	37
უსტატუსო/შემცვლელი მასწავლებლი	4
მოწვეული	8
უფროსი მასწავლებლი	25
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული მასწავლებელთა მიღების წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებას. ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერთიფიკატი, მასწავლებლის CV, აგრეთვე ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა და სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის ბაზის მონაცემები; • საშტატო განრიგი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თანამშრომლის მიღება რეგულირდება შპს ბათუმის სკოლი-ს შინაგანაწესის მე-6 თავით - სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება. მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. ღია კონკურსი ცხადდება საჯაროდ www.teachers.gov.ge - ზე. განსაზღვრულია კონკურსის ეტაპები. შრომითი ურთიერთობის გაფორმებისას კანდიდატი მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა კონკურსის ჩატარების მასალები. კერძოდ, დირექტორის ბრძანება ვაკანტური ადგილების, საკონკურსო კომისიის, გასაუბრების კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ, კონკურსის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ და ა. შ. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტისა და საბოლოო ანგარიშსწორების წესები და პირობები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის'' 48-ე მუხლთან. შინაგანაწესის მე-14 თავი არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორის მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, პრემიის გაცემა. აღნიშნულ მუხლში გაწერილია თუ რა შემთხვევებში მიიღებენ თანამშრომლები კონკრეტულ წახალისებას. შინაგანაწესის მე-16 თავი განსაზღვრავს შრომის დისციპლინის დარღვევის წესს, სადაც დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული რეგულაციები, მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულის მიერ დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული სახდელების პასუხისმგებლობის სახეები, რა შემთხვევაშია შესაძლებელი თითოეული სახდელის გამოყენება. სკოლაში შემუშავებულია სანქციების გამჭვირვალე სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ბათუმის მომავლის სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დირექტორთან გასაუბრება;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან და მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და ოდენობა, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა და სხვა პირობები. ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია სარეგისტრაციო ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • პირადი საქმეები; • სკოლის შინაგანაწესი:
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ბათუმის მომავლის სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/40. 04.09.2022წ. დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტი არეგულირებს სამოქმედო მიზნებს, პრინციპებს, წევრთა ფუნქცია-მოვალეობებს, საქმიანობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებლობას, სკოლის პერსონალის განვითარების პოლიტიკას, მასწავლებელთა შეფასებასა და პროფესიულ განვითარებას. დოკუმენტით ასევე განისაზღვრება სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, ტრენინგებსა და პროგრამებში. საგნობრივი კათედრების წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების განრიგი, განიხილავენ წარმოჩენილ საჭიროებებს და უზიარებენ გამოცდილებას პრობლემების დაძლევის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ იქნა, რომ ის უზრუნველყოფს პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების ორგანიზებას (კოლეგებთან შეხვედრებს, ტრენინგებს, კონფერენციებს) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გზების ძიებას, პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას და თვითშეფასებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას, რეკომენდაციების შემუშავებას, ხელმძღვანელობს მასწავლებელთა პროფესიულ დაოსტატებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასა და დანერგვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა • გასაუბრება მასწავლებლებთან და დირექტორთან;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტისას მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. მოსწავლეები საუბრობდნენ განხორციელებულ სასკოლო პროექტებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების დამოკიდებულებების, ურთიერთობების პოზიტიური კუთხით განვითარებას. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა მაქსიმალურად ზრუნავს თანამშრომლობითი გარემოს შესაქმნელად. მათ გამოთქვეს კმაყოფილება სკოლის ხარისხიანი მომსახურების შესახებ. განსაკუთრებით აღინიშნა მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულების შესახებ. მშობლების მოსაზრებით, სკოლა ორიენტირებულია სწავლა-აღზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნაზე. ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი. სკოლაში არსებული ურთიერთობები მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ყველა საკითხის გადაწყვეტა ხდება გუნდურობის პრინციპით. დირექტორი, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები ხელს უწყობენ ყველა იმ საკითხის განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმატებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან; • სკოლის ვებ-გვერდი;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
რეკომენდაციები:	არ გაცემულა
რჩევები:	არ გაცემულა
ხარვეზები:	არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

• თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 18.05.2023
გვერდების რაოდენობა: 61

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.